შეთანხმება N3/2703031101/40-1

ქ. თბილისი **21.05 2020 წელი**

ერთი მხრივ, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი“, მინისტრის მოადგილის გიორგი წოწკოლაურის სახით და და მეორე მხრივ, შპს „სოლემარტი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), დირექტორის ზურაბ ტუკვაძის სახით, შემდგომში ერთობლივად მხარეებად წოდებულნი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, 2020 წლის 24 აპრილს მხარეთა შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N3/2703031101/40 ხელშეკრულების 15.3 პუნქტისა და მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

1. მხარეთა შორის გაფორმებული 2020 წლის 24 აპრილის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N3/2703031101/40 ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის დასრულების მიზნით, წინამდებარე შეთანხმებისა და მხარეთა ორმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე, მხარეთა შორის გაფორმებული 2020 წლის 24 აპრილის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N3/2703031101/40 ხელშეკრულება ჩაითვალოს შეწყვეტილად წინამდებარე შეთანხმების პირობების შესაბამისად.

2. მხარეები თანხმდებიან და აღიარებენ, რომ წინამდებარე შეთანხმების გაფორმებისას არცერთ მხარეს (მიმწოდებელი და შემსყიდველი) არ გააჩნია და არც სამომავლოდ განაცხადებს მეორე მხარის მიმართ რაიმე სახის პრეტენზიას ან მოთხოვნას, რაც უკავშირდება მხარეთა შორის 2020 წლის 24 აპრილს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N3/2703031101/40 ხელშეკრულებას/წინამდებარე შეთანხმებას ან/და მათთან დაკავშირებულ რაიმე ურთიერთობას.

3. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

4. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ორ ეგზემპლარად, თითოეული გადაეცემათ მხარეებს და იგი წარმოადგენს 2020 წლის 24 აპრილს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N3/2703031101/40 ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს და გააჩნია იგივე სამართლებრივი ძალა, რაც თავად ხელშეკრულებას.

„შემსყიდველი“
საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო

ქ. თბილისი, 0119, აკაკი წერეთლის
გამზირი N 144
საიდენტიფიკაციო კოდი: 202486559

„მიმწოდებელი“
შპს „სოლემარტი“
საქართველო, ქ. თბილისი,
საბურთალოს რაიონი,
ფანასკერტელის ქ., N
20ა, ბ.1
საიდენტიფიკაციო კოდი:
404903119

გიორგი წოწკოლაური
მინისტრის მოადგილე

ზურაბ ტუკვაძე
დირექტორი